ს ა გ რ ა ნ ტ ო ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №04/47

„16“ „XII“ 2014 წ.

ბილისი

„აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF – Global), სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის“ ფარგლებში ორგანიზებული კონკურსის „კვლევითი გრანტების პროგრამა“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 18 მარტის N32/ნ ბრძანების, „აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF – Global), სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის“ ფარგლებში ორგანიზებული კონკურსის „კვლევითი გრანტების პროგრამის“ 2014 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 15 ოქტომბრის №92 ბრძანებისა და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2011 წლის 05 დეკემბერის №17 სხდომის ოქმის საფუძველზე,

ერთი მხრივ, **სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი,** წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის - **თინათინ ბოჭორიშვილის** სახით (შემდგომში - გრანტის გამცემი), მისამართი: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1, საიდენტიფიკაციო კოდი 204578064, სახელმწიფო ხაზინა, ანგ. №200122900

მეორე მხრივ, **სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“** (შემდგომში ცალკე წოდებული როგორც საბაზო ორგანიზაცია) (საიდენტიფიკაციო №211324351) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის - ამირან გამყრელიძის სახით, ასევე **საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 205162802) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლალი მაძღარაშვილის სახით (შემდგომში წოდებული, როგორც თანამონაწილე ორგანიზაცია) და „აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF – Global), სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის“ ფარგლებში ორგანიზებული კონკურსის „კვლევითი გრანტების პროგრამის“ 2014 წლის კონკურსის გამარჯვებული პროექტის **„ვეტერინარებს, ფერმერებსა და ცხოველებში ზოონოზური დაავადებების სეროპრევალენტობის შესწავლა საქართველოსა და იორდანიის მონაცემთა შედარებითი ანალიზი“** სამეცნიერო ხელმძღვანელი - **ლილე მალანია** (პ/ნ 01003004108) და ძირითადი პერსონალი **მარინა ჩუბინიძე** (პ/ნ 12003000278), **მარინე რამიშვილი** (პ/ნ 01024032548), **ნელი ჩაკვეტაძე** (პ/ნ 01024019485), **ნიკოლოზი ცერცვაძე** (01020001833), **თამარ გიორგაძე** (პ/ნ 01025015113), **ეკატერინე ჟღენტი** (პ/ნ 01003015093), **მარიამ ბროლაძე** (პ/ნ 01022013950), **ნაზიბროლა ჭიტაძე** (38001000340),

ნატალია აბაზაშვილი (პ/ნ 59001014811), მარიამ ზაკალაშვილი (პ/ნ 13001019678), მარინა დონდუაშვილი (პ/ნ 22001000382), ქეთევან გოგინაშვილი (პ/ნ 01023002346), მარინე ნიკოლაიშვილი (პ/ნ 01030000939), მაკა კოხრეიძე (პ/ნ01030028996) და გაგა ოსიაშვილი (პ/ნ01001045113), (შემდგომში საბაზო ორგანიზაცია, თანამონაწილე ორგანიზაცია, სამეცნიერო ხელმღვანელი და ძირითადი პერსონალის ერთად წოდებულნი როგორც გრანტის მიმღები)

შემდგომში ცალცალკე წოდებული როგორც მხარე და ერთად წოდებულნი, როგორც მხარეები, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

„აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF – Global), სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის“ ფარგლებში ორგანიზებული კონკურსის „კვლევითი გრანტების პროგრამის“ 2014 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტის – **„ვეტერინარებს, ფერმერებსა და ცხოველებში ზოონოზური დაავადებების სეროპრევალენტობის შესწავლა საქართველოსა და იორდანიის მონაცემთა შედარებითი ანალიზი“** (შემდგომში პროექტი) წარმდგენის საგრანტო დაფინანსება და გრანტის მიმღების მიერ პროექტითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობების განხორციელება.

მუხლი 2. პროექტის განხორციელების ვადები

პროექტის ხანგრძლივობაა 24 თვე.

მუხლი 3. საგრანტო დაფინანსება და მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. პროექტის საგრანტო დაფინანსება გრანტის გამცემის მხრიდან შეადგენს **70 000** (სამოცდაათი ათასი) ლარს, რომლის ჩარიცხვა განხორციელდება, გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშებზე, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების დანართ N3 -ს. გრანტის გამცემის მხრიდან პროექტის საგრანტო დაფინანსება ხორციელდება ერთწლიანი ტრანშების სახით. თითოეული ტრანშის არ აღემატება 35 000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარს.

3.2. გრანტის გამცემის მხრიდან მიღებული დაფინანსებით დაუშვებელია საგრანტო დაფინანსებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა/იჯარა, შენობა ნაგებობის კაპიტალური რემონტი/რეკონსტრუქცია, ავტომანქანის შეძენა.

3.3 გრანტის გამცემი ვალდებულია:

ა) შეასრულოს „აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF – Global), სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის“ ფარგლებში ორგანიზებული კონკურსის „კვლევითი გრანტების პროგრამა“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 18 მარტის N32/ნ ბრძანების და ხელშეკრულების №2 დანართით გათვალისწინებული ბიუჯეტით დაკისრებული ვალდებულებები;

გ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის ვადაში გრანტის მიმღებს ავანსის სახით გადაურიცხოს დამტკიცებული ბიუჯეტის პირველი ტრანში. თითოეული საანგარიშო პერიოდის ხანგრძლივობაა ერთი წელი. ყოველი შემდგომი ტრანში გადაირიცხება გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი, წინა საანგარიშო პერიოდის შედეგების შესრულების, პროგრამული და ფინანსური ანგარიშის გრანტის გამცემის მიერ განხილვის შემდეგ.

3.4 გრანტის მიმღები საბაზო/თანამონაწილე ორგანიზაცია ვალდებულები არიან:

ა) უზრუნველყონ პროექტში მონაწილე ძირითადი პერსონალის წევრები პროექტის შესასრულებლად აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ნორმალური სამუშაო პირობებით.

ბ) გრანტის გამცემს მიაწოდოს საბანკო რეკვიზიტები, სადაც იწარმოებს მხოლოდ გრანტის ფინანსური ოპერაციები.

გ) გრანტის ხარჯვა განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით და უზრუნველყოს ხელშეკრულების დანართი N2-ით გათვალისწინებული თანხების მიზნობრივი ხარჯვა;

დ) კოორდინაცია გაუწიოს პროექტში დასაქმებული პირების მუშაობას;

ე) პროექტის განხორციელებისას ფინანსური ოპერაციები აწარმოოს და შესყიდვები განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

3.5 ამ ხელშეკრულების 3.4 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების გარდა გრანტის მიმღები ორგანიზაციები გრანტის მიმღებ ფიზიკურ პირებთან ერთად ვალდებულები არიან:

ბ) გრანტის გამცემს მიაწოდოს ნებისმიერი ინფორმაცია, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს პროექტის განხორციელებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, გრანტის გამცემი პასუხისმგებლობას იხსნის გაუთვალისწინებელი შემთხვევებისაგან;

გ) დროულად შეასრულოს პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები;

ვ) შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების №1 დანართით გათავლისწინებული ამოცანები;

ზ) თითოეული (მათ შორის საბოლოო) ანგარიში (ფინანსური და პროგრამული) წარმოადგინოს ერთწლიანი საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 10 დღის ვადაში;

3.6 ფინანსურ და პროგრამულ ანგარიშებზე პასუხსიმგებელია გრანტის მიმღები;

3.7გრანტის სახსრები გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისა და საქმიანობისათვის.

მუხლი 4. დაფინანსების ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდგომ, გრანტის მიმღები ვალდებულია სახელმწიფო ბიუჯეტში სრულად დააბრუნოს გრანტის ფარგლებში აუთვისებელი ფინანსური რესურსი.

4.2 გრანტის გამცემი სარგებლობს უფლებით, ნებისმიერ დროს მოითხოვოს პირველადი ფინანსური დოკუმენტაციის ასლი.

მუხლი 5. ძირითადი პერსონალის წევრთა ცვლილება

5.1 პროექტის ძირითადი პერსონალის წევრის შეცვლის მიზეზი შეიძლება იყოს:

ა) ძირითადი პერსონალის წევრის წერილობითი განცხადება - უარი პროექტში მონაწილეობაზე;

ბ) ქვეყნიდან გასვლა იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი პერსონალის წევრის გასვლა ქვეყნიდან უარყოფითად აისახება პროექტის მიმდინარეობაზე;

გ) ძირითადი პერსონალის წევრის გარდაცვალება.

5.2 პროექტის ძირითადი პერსონალის წევრის ცვლილება უნდა განხორციელდეს შესაბამისი დარგის იმავე ან უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირით (მისი თანხმობა პროექტში მონაწილეობაზე - სავალდებულოა) ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელების გზით.

მუხლი 6. მონიტორინგი

6.1. გრანტის გამცემი ახორციელებს პროექტის შესრულების მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.

6.2. გრანტის გამცემი უფლებამოსილია, საგრანტო დაფინანსების მიმღები საბაზო ორგანიზაციისა და პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ყოველი საანგარიშო პერიოდის (თითოეული საანგარიშო პერიოდის ხანგრძლივობა 1 წელია) დაწყებამდე, არა უგვიანეს 20 დღით ადრე, წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ბიუჯეტში განახორციელოს ცვლილება.

6. 3. საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტრანშებს ფონდი რიცხავს ავანსის სახით და ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ახორციელებს დაფინანსებული პროექტის მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.

6.4.ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ბიუჯეტთან.

6.5 პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას ფონდი ეყრდნობა გრანტის მიმღებთა მიერ ამოცანების შესრულების შესახებ მიწოდებულ ინფორმაციას.

6.6. პროექტი ჩაითვლება დასრულებულად თუ პროექტის ფარგლებში გრანტის გამცემის მიერ ავანსად გადარიცხულ ყველა ტრანშზე, პროექტის დახურვის მომენტში წარდგენილია ანგარიშები, დაწერილია შესაბამისი განხილვის აქტები და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.

მუხლი 7. ხელშეკრულების შეწყვეტა და შეჩერება

7.1 პროექტის საგრანტო/ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ან შეჩერდეს გრანტის გამცემის გადაწყვეტილებით ამ მუხლის 7.2 პუნქტის შესაბამისად ან პროექტის განმახორციელებლების ინიციატივით.

7.2 პროექტის ამოცანების დადგენილ ვადებში შეუსრულებლობის, გრანტის სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშების გრანტის გამცემისათვის წარმოუდგენლობის, პროექტის სხვა პირობების შეუსრულებლობის, ყალბი ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში და ფორს-მაჟორული გარემოების გამო გრანტის გამცემი უფლებამოსილია შეაჩეროს ან/და შეწყვიტოს პროექტის დაფინანსება.

7.3 გრანტის მიმღების მიერ ანგარიშების (ფინანსური ან/და პროგრამული) დროულად წარმოუდგენლობის შემთხვევაში, გრანტის გამცემს შეუძლია წერილობით მისცეს მას დამატებითი ვადა (7 სამუშაო დღე) ანგარიშის წარმოსადგენად. იმ შემთხვევაში, თუ დადგენილ ვადაში ანგარიში კვლავ არ იქნა წარმოდგენილი, გრანტის გამცემი

უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის შეწყვეტის შესახებ, რაც შესაძლებელია გახდეს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი.

7.4 გრანტის შეჩერების დროს გრანტის გამცემის გადაწყვეტილებაში მიეთითება ის ვადები და პირობები, რომელთა შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია გრანტის განახლება, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში მისი შეწყვეტა.

7.5 პროექტის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის ან/და საბაზო/თანამონაწილე ორგანიზაციისათვის გაცნობისთანავე პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა სახის საქმიანობა დაუყოვნებლივ წყდება. პროექტში დასაქმებული პირები არ მიიღებენ შრომის ანაზღაურებას იმ საქმიანობისათვის, რომელიც განხორციელდება აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის (პროექტის სამეცნიერო ხელმზღვანელის ან/და საბაზო/თანამონაწილე ორგანიზაციისათვის გაცნობის) შემდეგ.

7.6 ამ მუხლის 7.2 პუნქტის საფუძველზე, გარდა ფორს-მაჟორული გარემოებისა, გრანტის გამცემის გადაწყვეტილებით პროექტის გრანტის/ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში პროექტის ფარგლებში, როგორც არამიზნობრივად გახარჯული (გარდა შრომის ანაზღაურებისა), ასევე ჯერ გაუხარჯავი თანხები სრული ოდენობით დაუყოვნებლივ უბრუნდება გრანტის გამცემს მის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

7.7 არასაპატიო მიზეზით გრანტის მიმღების ინიციატივით პროექტის გრანტის შეწყვეტის შემთხვევაში, თუ იგი არ არის გამოწვეული ფორს-მაჟორული გარემოებით, გამოიყენება ამ მუხლის 7.5 პუნქტით დადგენილი წესები.

7.8 პროექტის დასრულების შემდგომ გრანტის გამცემი უფლებამოსილია განახორციელოს პროექტის ფარგლებში და დაფინანსების სახსრებით მიღებული ნებისმიერი ბეჭდვითი და ელექტრონული დოკუმენტაციის, აპარატურის, პროექტის შედეგების ამსახველი პროდუქციის და პროექტთან დაკავშირებული სხვა მასალების შემოწმება. გრანტის მიმღებმა პროექტის ფარგლებში შეძენილი ზემოაღნიშნული მასალა და აპარატურა უნდა შეინახოს და მისაწვდომი გახადოს გრანტის გამცემისთვის პროექტის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში.

მუხლი 8. გრანტის დახურვა

8.1. გრანტის მიმღების მიერ გრანტის გამცემისათვის გადასაცემი ფინანსური და პროგრამული ანგარიშის წარდგენის შემდეგ გრანტის გამცემი იწყებს გრანტის დახურვის პროცედურას.

8.2. გრანტის დახურვისათვის აუცილებელია, რომ გრანტის გამცემის მიერ შესრულებული იყოს ყველა ავტორიზებული ტრანშის გადარიცხვა გრანტის მიმღებისთვის და გრანტის გამცემის ანგარიშზე დაბრუნებული იყოს გრანტის გამოუყენებელი სახსრები.

8.3. ხელშეკრულების ყველა მოთხოვნა ძალაში რჩება და მოქმედებს, სანამ მხარეებს შორის არ გაფორმდება პროექტის შესრულების აქტი, რომელიც დაადასტურებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

მუხლი 9. გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება

პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება საბაზო /თანამონაწილე ორგანიზაციების ან/და ძირითადი პერსონალს მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება, შეცვლა ან გაუქმება შეიძლება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო და არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და შესაბამისად, არ გამოიწვევს ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობას;

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მხარეთა ნების გამოვლენესთან, გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი ან/და გამოწვეულია დაუძლეველი ძალის დადგომით, ამასთან აღნიშნული გარემოება მხარეთა მიერ შესაძლოა განხილულ იქნას როგორც ფორს-მაჟორი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული გარემოებების დადგომა უშუალოდ უშლის ხელს მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებას;

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, აღნიშნული გარემოების დადგომიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში წერილობით უნდა აცნობოს ხელშეკრულების მეორე მხარეს ასეთი გარემოებების დადგომის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიღებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში მხარეები თანხმდებიან სახელშეკრულებო ურთიერთობების გაგრძელების, შეჩერების ან შეწყვეტის მიზანშეწონილობის თაობაზე რაც ფორმდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ან/და გამომდინარეობს მისგან, უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს საერთო სასამართლების მიერ.

მუხლი 12. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მისი მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

12.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეჩერდეს ან შეწყდეს წინამდებარე ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 13. დამატებითი პირობები

13.1. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 4 (ოთხი) ეგზემპლიარად და თითოეული განკუთვნილია თითოეული მხარისათვის.

13.2. ცვლილებები ან/და დამატებები ხელშეკრულებაში შესაძლებელია შევიდეს მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულების მხარეთა რეკვიზიტების ცვლილების შემთხვევაში, საკმარისია მხოლოდ მხარის მიერ მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნა და შესაბამისად არ საჭიროებს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას.

გრანტის გამცემი:

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

თინათინ ბოჭორიშვილი

გრანტის მიმღები:

საბაზო ორგანიზაცია:
გენერალური დირექტორი

ამირან გამყრელიძე

თანამონაწილე ორგანიზაცია
დირექტორი

ლალი მაძღარაშვილი

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ლილე მალანია

ძირითადი პერსონალი:

მარინა ჩუბინიძე

მარინე რამიშვილი

ნელი ჩაკვეტაძე

ნიკოლოზი ცერცვაძე

თამარ გიორგაძე

ეკატერინე ჟღენტი

მარიამ ბროლაძე

ნაზიბროლა ჭიტაძე

ნატალია აბაზაშვილი

მარიამ ზაკალაშვილი

მარინა დონდუაშვილი

ქეთევან გოგინაშვილი

მარინე ნიკოლაიშვილი

მაკა კოხრეიძე

ზაზა ფსიაშვილი